სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	სლავური ფილოლოგია/Slavic Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სლავური ფილოლოგიის მაგისტრი Master of Slavic philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით სლავური ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: ა) სასწავლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი. აქედან 30 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამაში შემავალი მოდულების სავალდებულო კურსებისათვის; 30 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს ბ) კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; 4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა რუსულ ფილოლოგიაში. • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • სასპეციალიზაციო გამოცდა. • ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე,
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების

	შესაბამისი, ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს ისეთ კომპლექსურ ფუნდამენტურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით მას შეუძლია: 1. სიღრმისეული სისტემური ცოდნის დემონსტრირება სლავური ფილოლოგიის სფეროში - აქვს ფართო ცოდნა თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის თეორიული ასპექტების შესახებ (არჩეული ენობრივი მოდულის მიხედვით); ერკვევა ენათმეცნიერების თეორიასა და ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე მიმდინარე პროცესებში, აღწერს ლინგვისტური მიდგომების დინამიკას ლინგვისტური ფაქტების ინტერპრეტაციაში, აღწერს და აანალიზებს მსოფლიოს ენობრივი სურათის ასახვის თავისებურებებს ცალკეული სლავური ხალხების მენტალიტეტში ეთნოფსიქოლინგვისტიკის მონაცემთა გათვალისწინებით, ამ სფეროში სამეცნიერო და პროფესიული ლექსიკისა და სამეცნიერო კვლევების გამოყენებით. 2. რუსული და სხვა სლავური ენების შესწავლის პ რინციპებისა და მეთოდების გაანალიზება შესასწავლი ენობრივი მოდულის შესაბამისად (პოლონური, უკრაი ნული), – შეისწავლის ენისა და კულტურის ურთიერთქმედების პრინციპებს, ფუნქციურ გრამატიკასა და მენტალიტე ტის ასახვის მახასიათებლებს ლინგვისტურ ფაქტებში; იყენებს თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს ლინგვ ისტური კვლევის სფეროში, შედარებითი, ისტორიუ ლი და აღწერითი ანალიზის პრინციპებს, ენის დამუ შავების კომპიუტერულ მეთოდებს, მიღებული ცოდნ ის პრაქტიკაში გამოყენებით ქმნის სხვადასხვა დონის სამეცნიერო ტექსტებს, შეუძლია მ ათი რედაქტირება და კულტუროლოგიური ინტერპრე ტაცია. 3. რუსული ლიტერატურული პროცესის სიღრმისეული სისტემური ცოდნის დემონსტრირება, რუსული ლიტერა ტურის ისტორისა და სოციალური და ლიტერატურული ცხოვრების ანალიზი შესასწავლი ენობრივი მოდულის შესაბამისად (პოლონური, უკრაინუ ლი); ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის ძირითადი

	დებულებებისა და ცნებების პრაქტიკაში გამოყენება თითოეული შესწავლილი ეპოქისა და ქვეყნის ლიტერატურული და სოციალური პროცესების მიხედვით; ძირითადი მიმართულებების, სკოლების აღწერა და ინტერპრეტირება; 4. ლიტერატურული ტექსტების ანალიზი, რუსული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებისა და მიმართულებების შედარება შერჩეული ენობრივი მოდულის მიხედვით, ის ტორიული და ლიტერატურული კონტექსტის, შექმნის ის ტორიის გათვალისწინებით. 5. სლავების სულიერი კულტურის, როგორც ეთნოკულტურ ული ფენომენის განვითარების თავისებურებების აღწერა დიაქრონიულ და სინქრონულ ჭრილში; სლავური ხალხებ ის მენტალიტეტის თავისებურებების ანალიზი მათი ისტორიული განსხვავების გათვალისწინე ბით; რუსული ლიტერატურის, სლავური ლიტერატურის ა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის, ასევე ქართული ლიტერატურის გადაკვეთის ძირითადი მომენტების და ა სევე სხვადასხვა ხალხის ლიტერატურული პროცესების უ რთიერთგავლენის შეფასება.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. რუსული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული 1. მსჯელობს სლავური ტომების მიერ ქრისტიანობის მიღების ისტორიასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე; აღწერს ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დაწყებულ მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს სლავურ კულტურაში ზოგადად, კერძოდ კი ლიტერატურისა და საგანმანათლებლო კერების დაარსების კუთხით; აანალიზებს სლავი ტომების დაყოფის მთავარ ფაქტორებს სოციალური, პოლიტიკური და თეოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით; განიხილავს

	სხვადასხვა სლავური ტომების საერთო გენეზისის მქონე კულტურის როგორც საერთო, ისე განსხვავებულ ნიშნებსა და თავისებურებებს; გადმოსცემს ძირითად ცნობებს ძველი სლავური ენის და სლავური დამწერლობის აღმოცენების და შემდგომი ფუნქციონირების ისტორიიდან; ჩამოთვლის ძველი სლავური ენის სისტემის ფონეტიკურ და გრამატიკულ აგებულების ძირითად პრინციპებს მათი წარმოშობის თვალსაზრისით და მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; აანალიზებს ძირითად მსგავსებას და განსხვავებას სლავურ ენებს შორის მათში წინარე სლავური ენის მემკვიდრეობის შენარჩუნების სპეციფიკის გათვალისწინებით; 2. აყალიბებს სამეცნიერო შემოქმედების კანონზომიერებებს; აღწერს სამეცნიერო კვლევის პერსპექტიულ მიმართულებებს, სამეცნიერო შემოქმედების პროცესს და სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას; ჩამოთვლის აკადემიურ სამეცნიერო ტექსტებში სემანტიკური ბლოკების განთავსების წესებს, რომლებიც მათი შინაარსის ასპექტებს ადეკვატურად ასახავს; განმარტავს ძირითად განსხვავებებს სამეცნიერო ნაშრომის აკადემიურ სტილსა და განსხვავებული ფუნქციური მიმართულების ტექსტებს შორის; აყალიბებს მასმედიის სფეროში პუბლიცისტური სამეტყველო აქტივობის თავისებურებებს; ჩამოთვლის მასმედიის ძირითად ჟანრებს; განმარტავს მედია -კომუნიკაციის არსს ; ახორციელებს მედიის კვლევას სხვადასხვა მიმართულებით; 3. აღწერს ლიტერატურათამცოდნეობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობებსა და ლიტერატურული კრიტიკის სკოლებს ევროპული და რუსული ლიტერატურული პროცესის კონტექსტში; მიმოიხილავს შესწავლილ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მხატვრული ტექსტის ანალიზის პრინციპებისა თუ მეთოდების ისტორიას; უდარებს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული პროცესების თავისებურებებს

		ტექსტის ანალიზის მეთოდის სწორად შერჩევის მიზნით; აჯამებს რუსული ლიტერატურული კრიტიკული სკოლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს; გაიაზრებს და აღწერს XX საუკუნის ბოლოს - XXI ს. პირველი ათწლეულის რუსულ ლიტერატურულ პროცესს, ეცნობა ამ პერიოდის ძირითად ავტორებს, პოეზიისა და პროზის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ისტორიასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირში; განმარტავს ლიტერატურული მიმართულებების წარმოქმნის და განვითარების თავისებურებებს; ჩამოთვლის შესასწავლი პერიოდის რუსული ლიტერატურის სპეციფიურ თავისებურებებს, ადარებს ერთმანეთს ლიტერატურულ ფაქტებს, მხატვრულ სახეებს, წამყვან ჟანრებს მათ განვითარებაში აღნიშნული ეპოქის დაუსრულებლობის გათვალისწინებით; ასახელებს რუსული ლიტერატურის ისტორიაში ზოგიერთი ფაქტის გაჩენის მიზეზებს, გაიაზრებს კონკრეტული ნაწარმოების შექმნის ისტორიას და სოციალურ კონტექსტს.
	4.	აცნობიერებს და აღწერს XX საუკუნის პოლონურ/უკრაინულ ლიტერატურულ პროცესს, ეცნობა იმ პერიოდის მთავარ ავტორებს, პოეზიის და პროზის წამყვან ნაწარმოებებს კულტურის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის ისტორიასთან ერთად; იძენს სისტემურ ცოდნას პოლონური კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ისტორიის შესახებ; გამოყოფს პოლონური ლიტერატურის ისტორიაში ზოგიერთი ფაქტის გაჩენისა და განვითარების მიზეზებს, ესმის შემოქმედების ისტორია და კონკრეტული ნაწარმოებების სოციალური კონტექსტი; მაგისტრანტი მიმოიხილავს XIX და XX საუკუნეების პოლონური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს სკოლებს, ცალკეულ ავტორებსა და მათ პროზაულ-პოეტურ ნაწარმოებებს.; აანალიზებს და უდარებს აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების მთავარ იდეებსა და ტენდენციებს; აჯამებს კონკრეტული ნაწარმოებების სოციალური კონტექსტის

	განმაპირობებელ ისტორიულ ფაქტებს. 5. აღწერს რუსული ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ძირითად ეტაპებს; ახდენს 18-20 ს-ის რუსული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემატიკის ინტერპრეტირებას;–მიმოიხილავს მოსკოვის, პეტერბურგის და ყაზანის ლინგვისტური სკოლების სამეცნიერო კონცეფციებს შორის არსებულ განსხვავებებს;
გ) უნარები	1. ერთმანეთს უდარებს აღმოსავლეთ სლავური და დასავლეთ სლავური ხალხების ძირითად მსგავსებებსა და განსხვავებებს განათლების, ლიტერატურის, სამონასტრო კულტურისა და ხელოვნების დარგში; აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ძეგლების ანალიზის საფუძველზე ახდენს იმ ეპოქის სოციალური და თეოლოგიური მოვლენების რეკონსტრუქციას და სწორად აღქმას ; კითხულობს ძველ სლავური კირილიცით დაწერილ საშუალო სირთულის ტექსტებს სათანადო ისტორიულ ფონეტიკურ-მორფოლოგიური კომენტარების დართვით; ახდენს ძველი სლავური ენის ფაქტების კვალიფიკაციას მათი წარმოშობის და სისტემური მნივნელობის შესაბამისად; ერთმანეთს ადარებს თანამედროვე სლავური ენების ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ერთი სათავეებიდან - წინარე სლავური ენიდან - მოდიან; 2. **მიღებული ცოდნის საუძველზე** ქმნის აკადემიური კვლევით განპირობებულ ტექსტებს: სამეცნიერო სტატიებს, რეფერატებს და მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებისთვის, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას შერჩეულ თემაზე; აჩვენებს სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის უნარებს სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ტერმინების და ცნებების გამოყენების თვალსაზრისით; ადარებს სხვადასხვა ჟანრის სამეცნიერო ნაშრომებს; ქმნის მედია პროდუქციას ინფორმაციის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის გამოყენებით; მაქსიმალური ეფექტურობით ავლენს პროფესიულ-პირად და ვერბალურ ურთიერთქმედების უნარებს; აანალიზებს მედიას კულტურისა და პუბლიცისტური სამეტყველო აქტივობის თვალსაზრისით

	3. კომუნიკაციურ-ფუნქციონალური მიდგომიდან გამომდინარე სტუდენტი აანალიზებს და თეორიულად იაზრებს რუსული და ქართული (პოლონური და ქართული, უკრანული და ქართული) ლიტერატურის მეტად პოპულარული ნაწარმოებების ერთობლიობას, მათი ადგილის განსაზღვრით ლიტერატურულ პროცესში; კონკრეტული ნაწარმოებების გააზრებაში იყენებს ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ დებულებებს ლიტერატურის მეცნიერებაზე, იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში; შეიმუშავებს ახალ პროდუქტიულ იდეებს , პოულობს ლოკალური პრობლემებისა და ამოცანების ამოხსნის ორიგინალურ გზებს 4. განიხილავს პოლონელი ხალხისთვის აქტუალური თემების ასახვისა საკითხს ლიტერატურულ ნაწარმოებებში; დასაბუთებულად აფასებს პოლონელი მწერლების მემკვიდრეობის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობის კონტექსტში; აანალიზებს XIX და XX საუკუნეების პოლონური ლიტერატურის ნაწარმოებების შინაარსისა და ფორმის თავისებურებებს; ახდენს აღნიშნული პერიოდის პოლონური/უკრაინული მხატვრული ტექსტების დამუშავებისას მასალის სწორ ინტერპრეტაციას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	1. აქვს პროფესიული ზრდის მოთხოვნილება; ზრუნავს დარგში უახლესი მეცნიერული მიღწევების გაცნობისა და ათვისებისათვის. 2. ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიონალურ განვითარებაზე; 3. ახდენს დროისა და შრომის ორგანიზებას და აყალიბებს საკუთარი თავის მოტივირების უნარს
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

	დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები.

	სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.
შეფასების სისტემა	შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას – (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას – (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა.

	ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე; • სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში; • ტურიზმის სფეროში; • ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.); • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და

	ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი: 1. პროფ. მ. ფილინა 2. ასოც. პროფ. მ. ალექსიძე 3. ასოც. პროფ. ნ. ბასილაია ასოც. პროფ. მ. თუხარელი 4. ემირ. პროფ. ნ. ჭოხონელიძე ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტისა ოწვეული ლექტორები: 1. ფილ. დოქტ. ი. ძნელაძე 2. ფილ. დოქტ. არპად ელეში 3. ფილ. დოქტ. ივანე მჭედელაძე 4. ფილ. დოქტ. სოფიო ჩხატარაშვილი 5. ფილ. დოქტ. ნინო ნასყიდაშვილი 6. ფილ. დოქტ. ა. ავაკოვა 7. ფილ. დოქტ. ი. კაპანაძე 8. ფილ. მაგისტრი ბ. კარასი სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული

	ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	